ეკონომიკის საფუძვლები

ლექცია 7

ფასების ძიებაში მოგება

ფასების ძიებაში

შესავალი

- ფირმა აწარმოებს დამატებით ერთეულ პროდუქტს თუ ზღვრული შემოსავალი მეტი იქნება ზღვრულ ხარჯზე

MR>MC

- გავრცელებული თვალსაზრისით ფასი არის “დანახარჯს პლუს დანამატი”

- მაგრამ როგორ განვსაზღვროთ დანამატი? – 25% თუ 50%?

მაგალითი

- განვიხილოთ შემდეგი სცენარი:
- ედ საიკი ყოველ პარასკევს კოლეჯში აწყობს კინო ჩვენებებს
- ყოველთვის, როდესაც ედი ფილმს აჩვენებს მას აქვს შემდეგი დანახარჯები

ფილმის დაქირავების თანხა	— 1800 დოლარი
დარბაზის იჯარის თანხა	— 250 დოლარი
კინომექანიკოსი	— 50 დოლარი
ბილეთების კონტროლიორი	— 100 დოლარი
სულ	2200 დოლარი

- დარბაზში 700 ადგილია
- ედიმ უნდა გადაწყვიტოს რა ფასი დაადოს ბილეთს

მაგალითი

- ედის აქვს ინფორმაცია მოთხოვნის შესახებ



D=1000-100*p

მოგების მაქსიმიზაციის ზოგადი წესი

თუ მოგების მაქსიმიზაცია გსურთ, დაანესეთ ფასი, რომელიც საშუალებას მოგცემთ, გაყიდოთ საქონლის ყველა ის (და მხოლოდ ის) ერთეული, რომელთა გაყიდვით მიღებული ზღვრული შემოსავალი, თქვენი ვარაუდით, ზღვრულ დანახარჯებზე მეტი იქნება.

- რა არის ზღვრული შემოსავალი?
- რა არის ზღვრული ხარჯი?
- რა გადაწყვეტილებას მიიღებს ედი?

ფასი (S)	მოთხოვნის რაოდენობა
7	300
6	400
5	500
4	600
3	700

რატომაა ზღვრული შემოსავალი ფასზე ნაკლები?





Copyright 2010 Pearson Education, Inc. Publishing as Prentice Hall

დამატებითი მაგალითი

რა მოხდება თუ ედს ფილმის დაქირავების ხარჯს 1800$ შეუცვლიან შემდეგი წესით – 800$ + 2$ ყველა გაყიდული ბილეთიდან?



Copyright 2010 Pearson Education, Inc. Publishing as Prentice Hall

ფასისმიერი დისკრიმინაცია

- რატომ ხდება, რომ ედს ურჩევნია ცარიელი ადგილები იყოს, ვიდრე ყველა ბილეთი გაყიდოს?

- რა მოხდება მაშინ თუ ედი დარჩენილ ცარიელ ბილეთებს გაყიდის 3 დოლარად?

- ფასისმიერი დისკრიმინაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ ხდება მოთხოვნის სხვა და სხვა ელასტიურობის მქონე ჯგუფების განცალკევება

ფასისმიერი დისკრიმინაციის მაგალითი

- რატომ ღირს ბიზნეს კლასის ბილეთები უფრო ძვირი ვიდრე ეკონომ კლასის ბილეთები?



Copyright 2010 Pearson Education, Inc. Publishing as Prentice Hall

ედი და ფასისმიერი დისკრიმინაცია

- შეუძლია თუ არა ედმა გამოიყენოს ფასისმიერი დისკრიმინაცია?
- მაგალითად, განაცალკევოს სტუდენტები და ლექტორები?



რა მოხდება მაშინ თუ სტუდენტები იყიდიან ბილეთებს და მიყიდიან ლექტორებს?

როგორ აწესებენ გამყიდველები ფასს?

- ისინი ადგენენ ზღვრულ შემოსავალს და ზღვრულ დანახარჯს

- ადგენენ პროდუქციის მოცულობას, რათა გაყიდონ პროდუქციის მხოლოდ ის ერთეულები, რომლებისთვისაც ზღვრული შემოსავალი ზღვრულ ხარჯზე მეტია

ან

- აწესებენ ისეთ ფასებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს გაყიდონ მთელი პროდუქცია

ძნელია განსაზღვრო ზღვრული დანახარჯები, განსაკუთრებით, მოთხოვნა და ზღვრული შემოსავალი

ფასის ძიების სირთულე განაპირობებს “დანახარჯს პლუს დანამატი” თეორიის პოპულარობას

მოგება

შესავალი

- რომ გავარკვიოთ მოგების არსი, ჯერ განვმარტოთ რა არის ხელფასი, რენტა, სარგებელი

ხელფასი – შრომითი მომსახურებისთვის გადახდილი თანხა

რენტა – მიწის ან სხვა საკუთრების ლიზინგისთვის გადახდილი თანხა

სარგებელი – ვიხდით მაშინ როდესაც ვსესხულობთ ფულს

სარგებელი არ არის ფულის ფასი!!!

ადამიანები სარგებელს იმისთვის იხდიან, რომ დღესვე შეძლონ რესურსებით სარგებლობა

რესურსებით დღეს სარგებლობა, ჩვეულებრივ, უფრო მეტი ღირს, ვიდრე ამავე რესურსებით სარგებლობა მომავალში

მოგება

- ხელფასი, რენტა, სარგებელი შემოსავლის წყაროა
- მეოთხე წყარო შემოსავლის არის მოგება
- რა არის მოგება?
  - მესაკუთრის შრომის ალტერნატიული ხარჯი?
  - კაპიტალი (წარმოებული პროდუქცია, რომელიც მომავალში გამოიყენება სხვა პროდუქციის საწარმოებლად)?
  - სარგებელი (მესაკუთრის ფულის გამოყენებისთვის გადახდილი სარგებელი?
- არცერთი ზემოთ ჩამოთვილილი!!!

ბუღალტრული მოგება და ეკონომიკური მოგება

- ბუღალტრული მოგება ასახავს მხოლოდ ცხად ხარჯებს
- ეკონომისტების თვალსაზრისით ცხადი ხარჯები არ ასახავს მთლიან ხარჯებს
- ეკონომიკური მოგება ასახავს როგორც ცხად ასევე ფარულ ხარჯებს
- ფარული ხარჯების საკითხი დგება, როდესაც ბიზნესმენები ითვალისწინებენ მათ მიერ გამოყენებული რესურსების ალტერნატიულ დანახარჯებს
- განვიხილოთ მაგალითი

მაგალითი

- ანა მუშაობს მდივნად და მისი ხელფასი არის 30 000 $ წელიწადში
- მას ასევე აქვს შენობა, რომელსაც აქირავებს 6 000 $
- და 23 000 დოლარის CD, რომლის გაქირავებით ყოველწლიურად ღებულობს 10% შემოსავალს (2 300 $)

- ახლა წარმოიდგინეთ, რომ ანა ხსნის საკუთარ პიცერიას. მან მიატოვა მუშაობა
- იყენებს საკუთარ შენობას
- ყიდის თავის CD (23 000 დოლარად)
- სესხად იღებს 20 000 $, წლიური 10%–ით

- რა არის ბუღალტრული და ეკონომიკური მოგება?

ბუღალტრული და ეკონომიკური მოგება

ჩავთვალოთ, რომ წლიური მოგება არის 85 000 $

ცხადი ხარჯები:

ხელფასი – 43 000 $

პროცენტი – 2 000 $

სულ: 45 000 $

ბუღალტრული მოგება = 85 000 – 45 000 = 40 000

ფარული ხარჯები:

შრომის ალტერნატიული დანახარჯი = 30 000$

შენობის ალტერნატიული ხარჯი = 6 000 $

CD გაყიდვის ალტერნატიული ხარჯი = 2 300$

სულ: 38 300 $

ეკონომიკური მოგება = 40 000 – 38 300 = 1 700 $

- რეალური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთები

სარგებლის რეალური განაკვეთი საბაზრო (ნომინალური) განაკვეთისა და ინფლაციის მოსალოდნელი დონის სხვაობის ტოლია

- განუზღვრელობა მოგების აუცილებელი პირობაა
- მეწარმის ცნება
- დისკონტირება

დავალება

თავი 11

ამოცანები: 4, 14, 23, 33, 34, 35, 37

თავი 9

ამოცანები: 1, 4, 21, 30, 33, 35

პირველი ტომის ყველა თავი, გარდა “ინფორმაცია, შუამავლები და სპეკულანტები”